

საზედაო ასოები და ილუსტრაციები ნიკოლოზ ნიკრაის მიერ
გადაწერილი წმ. იოანე სინელის „კლემასიდან“ (H-1669)”

ლეილა გრიგოლია

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების*

მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია,
ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეიმურაზ ჯოჯუა, ასოცირებული

პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს,
ნინო მატარაძეს ამავე ფაკულტეტის
შუა საუკუნეების კვლევის მაგისტრანტის
ლეილა გრიგოლიას

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს მიერ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლეილა გრიგოლია

2023

აბსტრაქტი

ჩემი სამაგისტრო ნაშრომი, არის მცდელობა შევისწავლო ნიკოლოზ ნიკრაის მიერ 1160 წლის ახლო ხანებში გადაწერილი წმ. იოანე სინელის „კლემაქსიდან“ H-1669 მოცემული საზედაო ასოები და ილუსტრაციები, ავღწერო ცალკეული გრაფემა მხატვრულ-კომპოზიციური თვალსაზრისით და მათი შემკულობის მრავალსახეობიდან გამომდინარე გამოვყო შესაბამისი ქვეჯგუფები. მხატვრულ-კომპოზიციური კუთხით შევისწავლო და ავღწერო სქოლიოს ტექსტის ირგვლივ მოცემული ილუსტრაციები. კომპოზიციურ კონტექსტში განვიხილო სხვადასხვა ფორმის მოყვანილობის სქოლიოს წარწერები.

ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა ხელნაწერის ფოტომასალას და რამოდენიმე სამეცნიერო წყაროს ანალიზს.

ნაშრომში წარმოდგენილი მაქვს საზედაო ასოების მხატვრული აღწერილობის შედეგად გამოყოფილი შვიდი ქვეჯგუფი. მოცემული მაქვს თითოეულ ქვეჯგუფის ძირითადი მახასიათებლების დეტალური აღწერილობა. ილუსტრაციების დეტალური მხატვრული აღწერილობა. სხვადასხვა ფორმის სქოლიოს ტექსტის კომპოზიციური აღწერილობიდან გამომდინარე გამოვყავი სამი ქვეჯგუფი და განვიხილე მათი კომპოზიციური ურთიერთმიმართებები სქოლიოს ტექსტთან და საზედაო ასოებთან.

მოცემულ ხელნაწერთან დაკავშირებით გაკეთებული ჩემი მცირე კვლევის მცდელობა საზედაო ასოებსა და ილუსტრაციების ირგვლივ, ვფიქრობ, დაეხმარება მომავალ მკვლევარებს უფრო სიღრმისეულად შეისწავლონ არსებული ხელნაწერი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საზედაო ასოები, ილუსტრაცია, ნიკრაი, გადამწერი, მხატვარი, მხატვრული შემკულობა, კომპოზიცია, სინგურის საღებავი, შავი მელანი, მხატვრულ-კომპოზიციური, სტილიზებული.

Abstract

My Master's thesis represents the attempt to study illuminated letters and illustrations copied by Nikoloz Nikrai in the early 1160s from "Climax" H-1669 by Saint John Climacus, to describe individual graphemes from an artistic and compositional point of view and to identify the appropriate subgroups according to the variety of their decoration. To study and describe the illustrations around the text of the scholium from an artistic and compositional point of view. To discuss inscriptions of the scholium of various shapes in a compositional context. The work is mainly based on photographs of the manuscript and the analysis of several scientific sources. I have presented seven subgroups, identified as a result of the artistic description of illuminated letters in the thesis. I have presented a detailed description of the main characteristics of each subgroup and a detailed artistic description of the illustrations as well. Based on the compositional description of the scholium of different forms, I identified three subgroups and discussed their compositional relationships with the scholium text and illuminated letters. In my opinion, my little effort in researching presented manuscript in regards to illuminated letters and illustrations will help future researchers to study the existing manuscript in more depth. Key search words: illuminated letters, illustration, Nikrai, copyist, artist, artistic decoration, composition, Singuri paint, black ink, artistic compositional, stylized.